


ტიხი [illegible] ხატ

წელს გამორჩეული საფესტივალო გამოშვება გვაქვს, მე-7 ფესტივალს ქალაქი ქუთაისი მასპინძლობს. დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა კინოფესტივალის ჩატარება ქალაქში, საიდანაც ქართული კინოს ისტორია იწყება.

საფესტივალო აქტივობები 4 სხვადასხვა სივრცეშია გაშლილი. წელს ახალ-გაზრდა აუდიტორიას 31 მოკლემეტრაჟიან და 11 სრულმეტრაჟიან ფილმს წარვუდგენთ, ღია ცის ქვეშ მოწყობილი კინოთეატრი კი აღდგენილი ქართული კინომემკვიდრეობის საჯარო ჩვენებებს შესთავაზებს მოსახლე-ობას. ჩატარდება ლექციები, მასტერკლასები, შეხვედრები კინოპროფესი-ონალებთან და, რა თქმა უნდა, დისკუსიები ნაჩვენები ფილმების გარშემო.

„თაობა“ ეროვნული სასახლისა და კულტურის და განათლების ფონდის მიერ შექმნილი პლატფორმაა, რომელიც უპირველესად ახალგაზრდებს ეკუთვნით და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალში იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდებიც ჩაერთვებიან.

გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ჩვენს პარტნიორებს: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს ბანკს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას, ეროვნულ კინოცენტრს, იტა-ლიის საელჩოს საქართველოში, საბერძნეთის საელჩოს საქართველოში, ქუ-თაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქუთაისის №1 საჯარო სკოლას, კინოთეატრ საქართველოს.

სასიამოვნო ფესტივალს გისურვებთ
**თაობის გუნდი**

This year marks an exceptional edition of our festival, as we proudly celebrate the 7th installment, hosted in the historic city of Kutaisi. The choice of Kutaisi as the host city is particularly meaningful, as it holds a special place in the history of Georgian cinema. Being the city where the rich cinematic tradition of Georgia began, hosting the festival here is not only a significant honor but also a profound responsibility.

The festival's activities this year are spread across four unique venues throughout the city, each offering its own distinctive ambiance and setting. For this edition, we have curated a selection of films, with 31 short films and 11 feature films, primarily aimed at engaging the younger generation.

Adding to the festival's charm, an open-air cinema will host public screenings of restored Georgian film classics, a unique opportunity to reconnect with the country's cinematic heritage. These screenings will bring iconic Georgian films back to life in an atmospheric outdoor setting, offering a nostalgic yet vibrant experience for both the young and the older generations. Alongside the film screenings, we have carefully crafted a rich program of additional activities, including lectures, master classes, and interactive meetings with seasoned film professionals. These events will provide an invaluable opportunity for aspiring filmmakers, students, and cinephiles to learn, exchange ideas, and gain deeper insights into the industry. Of course, there will also be plenty of opportunities for engaging discussions and thought-provoking debates surrounding the films being shown.

As Taoba is a platform created by the National Palace and the Culture and Education Foundation, dedicated primarily to empowering young people, we are proud that the youth from the municipalities of the Imereti region will also be actively involved in the festival.

None of this would be possible without the support of our esteemed partners, to whom we extend our heartfelt gratitude. These include the State Representative's Administration in Imereti, Kutaisi City Hall, Tbilisi City Hall, Bank of Georgia, the Georgian National Tourism Administration, the United Airports of Georgia, the Georgian National Film Center, the Embassy of Italy in Georgia, the Embassy of the Hellenic Republic to Georgia, the Youth and Children's Palace, Kutaisi Akaki Tsereteli State University, Kutaisi N1 Public School, and Cinema of Georgia.

We extend our warmest wishes for a delightful festival experience

**The Taoba Team**



## ირაკლი ქარქაშაძე
## IRAKLI KARKASHADZE

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების
გენერალური დირექტორი

General Director of the United Airports of Georgia

საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის სახელით, მოხარული ვარ მხარი დავუჭიროთ საერთაშორისო, ახალგაზრდულ კინოფესტივალს „თაობა“, რომელიც საქართველოს კულ-ტურის ერთ-ერთ მთავარ ცენტრში, ქუთაისში გაიმართება, საიდანაც ქარ-თული კინოს ისტორია იწყება.

ქუთაისის აეროპორტი, საერთაშორისო ვიზიტორებს რეგიონის იმ მდიდარ კულტუტულ მემკვიდრეობასთან და დინამიკურ მოვლენებთან აკავშირებს, რომელიც რეგიონის თვითმყოფადობას განსაზღვრავს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რეგიონის განვითარებას, ტურიზმის დინამიკის ზრდას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

მომავალი თაობის ჩართულობა მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარების-თვის, მათი ხედვა და ნიჭი აყალიბებს კინოინდუსტრიის მომავალს და ორმაგად ვამაყობთ, შესაძლებლობით, მხარი დავუჭიროთ ინიციატივას, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდა კინემატოგრაფებსა და პროფესიონა-ლებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და ხელი შევუწყოთ კულტურულ გაცვლას.

წარმატებას ვუსურვებ პროექტს მიმდინარე და დაგეგმილ ინიციატივებში.

On behalf of United Airports of Georgia and Kutaisi International Airport, it is a pleasure to support the International Youth Film Festival - Taoba, in the historic city Kutaisi – one of Georgia's cultural capitals and the birthplace of Georgian cinema.

Kutaisi International Airport serves as a vital gateway connecting global visitors to the region's rich cultural heritage and dynamic events that define the region. These contributions not only shape the identity of the region, but also play a significant role in its development, boosting tourism and fostering international cooperation.

We recognize the importance of youth involvement in shaping the future of the city. Their vision and talent are forming the future of the film industry, and we are proud to play a role in encouraging the initiative that unites young filmmakers and professionals from around the world, fostering cultural exchange and collaboration.

I wish the festival a great success in both current and future endeavors and excited to support its success in the coming years.







**საქართველოს ბანკი აქტიურად განაგრძობს განათლების მხარდაჭერას და უკვე 120 000-ზე მეტი ახალგაზრდისთვის ქმნის განათლების მრავალფეროვან შესაძლებლობებს**

დღეს ბანკი პარტნიორებთან ერთად 40-ზე მეტ საგანმანათლებლო პროექტს ახორციელებს და მოტივირებულ, მიზანდასახულ ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ ხარისხიანი განათლება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნულ პროექტებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული STEM სკოლაა, რომელიც საქართველოში STEM მეცნიერებების პოპულარიზაციისთვისაა შექმნილი

სწორედ ამ მიზნით 21 სექტემბერს, 15:00 საათზე, პირველ სკოლაში ვორკშოპს ჩაატარებს STEM სკოლის მასწავლებელი - მარეხ მაზანაშვილი, სადაც მოსწავლეები გაეცნობიან, რამდენად საინტერესოა მომავლის ტექნოლოგიები, გაიგებენ როგორ არის დაპროგრამებული ჭკვიანი მოწყობილობები, რა გზები არსებობს ინოვაციური იდეების განსახორციელებლად და ა.შ.

საქართველოს ბანკი

ფესტივალი
თაობის პარტნიორი

# მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი ახალგაზრდა აუდიტორიისთვის

# INTERNATIONAL COMPETITION OF SHORT FILMS FOR A YOUNG AUDIENCE





## აგვისტოს დასასრული
## END OF AUGUST

საბერძნეთი | Greece, 2023, 17'

**რეჟისორი | Directed by:** Angelika Katsa

**მონაწილეობენ | Starring:**
Athina Moschidou, Filippos Ioannidis, Antonis Tsiostsiopoulos

ერთ ზაფხულს ამელია დედამისის საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობისს შესახებ გაიგებს. ამელიას ნანახის დაჯერება არ სურს, ამიტომ თავის პირველ სიყვარულთან ერთად სახლიდან გარბის. თავგადასავლებთან ერთად, მათ ერთმანეთისა და მოგზაურობისას შემხვედრი სხვა ადამიანების გამოცდა მოუწევთ.

That summer, Amelia will discover her mother's secret love affair and, refusing to believe what she saw, she will run away from home with Epaminondas, her first love. They will go on an adventure, testing themselves and everyone they meet along the way.



## აუზის წვეულება
## POOL PARTY

გერმანია | Germany, 2023, 6'

**რეჟისორი | Directed by:** Masha Mollenhauer

**მონაწილეობენ | Starring:** Merle Fischer, Lena Fleddermann, Alina Peters, Regina Vorbau, Ellen Gross

მაიასთვის საჯარო აუზზე მისვლა და სხვა ადამიანებისთვის ნახევრად შიშველი სხეულის ჩვენება კოშმარული სიზმარივითაა. იგი საკუთარ გარეგნობაში მხოლოდ ნაკლოვანებებს ამჩნევს, მაგრამ 15 წლის წარმოსახვითი გოგონას შეხვედრა იმ მოხუც ქალებთან, რომელთაც ხანდაზმული სხეულები და არასრულყოფილი ფორმები აქვთ, მაიას აიძულებს, ეჭვქვეშ დააყენოს საკუთარ სხეულთან დამოკიდებულება.

Visiting a public pool and presenting her half-naked body to other people? Sounds like an absolute nightmare for Maya, who seems to only notice the flaws in her appearance. But then the imaginative 15-year old encounters a group of older women who's aging bodies and imperfect shapes make her question the relationship to her own body.



## გამოსაფხიზლებელი ჭრიჭინი
## THE WAKE UP CHIRP

შვედეთი | Sweden, 2023, 14’

**რეჟისორი | Directed by:** Kaan Orgunmat

**მონაწილეობენ | Starring:** Vincent Book, Jerker Heijkenskjöld

10 წლის ინტროვერტი ბიჭი, რომელსაც თითქოს ავტორიტეტული ბაბუის საზაფხულო სახლი ემოციურად ახრჩობს, შემთხვევით აღმოაჩენს, რომ ჭრიჭინები სახლის ირგვლივ მასთან კომუნიკაციას მორზეს კოდით ამყარებენ. მისტიკური კოდის ამოხსნის შემდეგ ბიჭს საკუთარი თავის აღმოჩენის ძალა და დამოუკიდებლობა ენიჭება.

An introverted 10-year-old boy who feels emotionally suffocated at his authoritarian grandfather's summerhouse accidentally discovers that the crickets around the house communicate with him in morse code. As the boy cracks the mysterious code, he gains strength in his self-discovery and independence.



## განდეგილი
## MONTE CLERIGO

პორტუგალია | Portugal, 2023, 27’

**რეჟისორი | Directed by:** Luis Campos

**მონაწილეობენ | Starring:** Gonçalo Almeida, Aayush Kandel

თინეიჯერი იძულებით საზაფხულო სამუშაოს ასრულებს ტყის საგუშაგო კოშკზე და მიმდებარე სათბურებში მომუშავე ემიგრანტების მიმართ გულგრილად არის განწყობილი. სანამ დაკარგულ საათს ეძებს, იგი საკუთარ თავს „უჩინარების“ მხარეს აღმოაჩენს.

A teenager does a forced summer job on a forest watchtower, indifferent to the immigrant workers in the surrounding greenhouses. While searching for his lost watch, he finds himself on the side of the 'invisible ones'.



## გაუგონარი ამბები
## THINGS UNHEARD OF

თურქეთი | Turkey, 2023, 15’

**რეჟისორი | Directed by:** Ramazan Kılıç

**მონაწილეობენ | Starring:** Elanur Kılıç, Reyhan Kılıç

პატარა ქურთი გოგონა ცდილობს ბებიას სახეზე ღიმილი დაუბრუნოს მას შემდეგ, რაც ტელევიზორი, მისი ერთადერთი ფანჯარა სამყაროში, გაქრება.

A little Kurdish girl tries to put a smile back on her grandmother’s face after the disappearance of her television, her only window in to the world.



## გვიან ზაფხულის ლექსი
## A SUMMER’S END POEM

ჩინეთი, შვეიცარია, მალაიზია
China, Switzerland, Malaysia, 2024, 15’

**რეჟისორი | Directed by:** Lam Can-Zhao

**მონაწილეობენ | Starring:** Cai Jingbo

ზაფხულის არდადეგების დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, სოფელში მცხოვრები ბიჭი თავის მთელ დანაზოგს საოცნებო ქალაქურ ვარცხნილობაში ხარჯავს, მაგრამ შედეგი გამაოგნებელია. ესაა ისტორია ბავშვობასთან გამომშვიდობებასა და ზაფხულის პოეტურ დასასრულზე.

Shortly before the end of the summer holidays, a country boy spends his savings on his dream of a city hairstyle – with surprising results. A story about bidding farewell to childhood and the poetic end of a summer.



## გზა შინისაკენ
## HOMEWARD JOURNEY

ჩინეთი | China, 2022, 26'

**რეჟისორი | Directed by:** Youyang kong

ინინი მარსის ფარმაცევტულ კომპანიაში ოთხ წელზე მეტ ხანს მუშაობდა, მაგრამ მის მომავალთან დაკავშირებული დედამისის გეგმების გამო სახლში არ დაბრუნებულა. გაზაფხულის ფესტივალისა და დიდი კარიერული წინსვლის წინ იგი შეიტყობს, რომ მისი საყვარელი ბებია სიკვდილს ებრძვის, რაც მას სამსახურსა და ოჯახს შორის არჩევნის გაკეთებას აიძულებს.

Yingying has been working in a Martian pharmaceutical company for more than four years but hasn't returned home out of dissatisfaction with her absent mother's rigid plans for her future. Right before the Spring Festival and on the eve of a major career advancement, she learns that her beloved grandmother is on her deathbed, forcing her to choose between work and family.



## ეგერი, 1552
## Eger, 1552

უნგრეთი | Hungary, 2022, 17'

**რეჟისორი | Directed by:** Attila Szasz

**მონაწილეობენ | Starring:**
Gergely Kovács-Szégner, Borka Boros, Nóra Trokán, Levente Molnár, Gábor Jászberényi, Ákos Orosz

სკოლის ექსკურსიაზე ორ მეექვსეკლასელს გზა აებნევა 1552 წელ, ეგერის ალყის შუაგულში აღმოჩნდება. ზუსტად იმ დღეს, როცა ოსმალების არმია უნგრეთის საკულტო ციხეზე უკანასკნელ შეტევას ახორციელებდა.

Two sixth-graders lose their way on a school trip and find themselves in the middle of the siege of Eger in 1552, on the exact day the Ottoman Army unleashes the final attack on the iconic Hungarian castle.



# ითოვებს
# THERE WILL BE SNOW

ყირგიზეთი | Kyrgyzstan, 2023, 22'

**რეჟისორი | Directed by:** Seiit Ryskulov, Elnura Zhigitalieva

**მონაწილეობენ | Starring:** Aksuubai Arsymatov, Nishanbai Topchubaev

პატარა სოფელი ყირგიზეთში. ახალი წლის ღამე. 15 წლის ჟაკშილიკი არდადეგებზე პანსიონიდან ბაბუამისთან სახლში ბრუნდება. მამამისი ციხეშია, დედა კი საზღვარგარეთ მუშაობს. ბაბუა ერთადერთი ახლო ნათესავია, რომელიც ბიჭს ჰყავს. მას სკოლაში სერიოზული პრობლემა ექმნება. ახლა უხერხული საუბრებისა და სიჩუმის პარალელურად ბაბუამ უნდა გაარკვიოს, თუ რა დაემართა მის შვილიშვილს და როგორ დაეხმაროს მას.

A tiny Kyrgyz village. New Year's Eve. 15-year-old Zhakshylyk comes home from boarding school for the holidays to his grandfather. His father is in prison, his mother is working abroad, and his grandfather is the only close relative the boy has around. The boy gets into serious trouble at school. Now, through awkward conversations and silence, the grandfather needs to figure out what happened to his grandson and how to help him.



# კატოს სიზმრები
# KATO'S DREAMS

საქართველო | Georgia, 2022, 10'

**რეჟისორი | Directed by:** Tsotne Rusishvili

**შემოქმედებითი ჯგუფი | Crew:**
20 steps Productions

3 წლის კატო მამას „ბოროტულ სიზმრებზე“ უყვება, რეალურად ჩაწერილი ხმა მოკლე ანიმაციის ინსპირაცია გახდა.

3 years old Kato tells her father about a Spooky dreams, this real voiceover became a foundation for a short animated film.



## კოსმოსური სადგურის სოფელი EP8: ცამდე მენატრები
## SPACE STATION VILLAGE EP8: MISS YOU TO THE STARS

ტაივანი | Taiwan, 2023, 13'

**რეჟისორი | Directed by:** Yi-Feng Kao

ეს ეპიზოდი ტაივანის ადგილობრივ კულტურაში გავრცელებულ რწმენას ეხება. ასევე იმას, თუ როგორ უმკლავდება წვიმიან ღამეს, კოსმოსურ სადგურში, ბუნონი მოხუცი კაცი საყვარელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს ტრადიციულ მუსიკალურ საკრავზე დაკვრით.

The story of the episode "Missing You to the Stars" is about the belief that is still alive in Taiwanese indigenous culture and how a Bunon older man deals with the pain after the death of a loved one by playing a traditional instrument for the deceased in a space station on a rainy night.



## მაჰროხის თოჯინა
## MAHROKH'S DOLL

ირანი | Iran, 2023, 10'

**რეჟისორი | Directed by:** Mojtaba Zare, Maryam Javaheri

**მონაწილეობენ | Starring:** Pariya Hakimi, Yasin Hosseini Gol

მასუდი, რომელიც ჩემპიონატის მოგებასა და ფეხბურთის მოედანზე მეგობრის არჩევაზე ოცნებობს, იაჰის ბულინგის მსხვერპლი ხდება. იაჰი ბურთის, ხოლო მისი მამა - სათამაშო მოედნის მფლობელია.

Masoud, who is dreaming of winning the championship and choosing a friend on the football field, is confronted by the bullying of Yahya, who owns the soccer ball and his father owns the playground.



## მე მოვდივარ ზღვიდან
## I COME FROM THE SEA

ლიბანი | Lebanon, 2023, 22’

**რეჟისორი | Directed by:** Feyrouz Serhal

**მონაწილეობენ | Starring:** Miral Omar, Issam El Jamal, Ayham Merhi

სამარი, ჯუდი და იმადი, 11 წლის სკოლის მეგობრები, სკოლას აცდენენ და გაბედულად დასეირნობენ თავიანთ ქალაქ ტრიპოლში. ქალაქში მათი ყოფნა ყველა კუთხეში მაგიას წარმოშობს.

Samar, Jude, and Imad, 11-year-old school friends, skip school and venture into their city Tripoli. Their encounter with the city creates magic at every corner.



## მოპარული გასეირნება
## THE STOLEN RIDE

გერმანია | Germany, 2023, 13’

**რეჟისორი | Directed by:** Masha Mollenhauer

**მონაწილეობენ | Starring:** Alissa Lazar, Luis Pintsch, Kleon Sylvester, Lillemor Leistenschneider, Veronique Coubard, Daniel Berg, Loran Alhasan

მას შემდეგ, რაც 14 წლის ალისია უფროსი ძმისგან დაბადების დღის საჩუქრად ველოსიპედს მიიღებს, მას სკოლაში ქურდობას აბრალებენ. მორალური დილემის წინაშე დამდგარმა გოგონამ უნდა გადაწყვიტოს, უღალატოს საკუთარ ძმას, რომელსაც კრიმინალური ისტორია უკვე აქვს, თუ საკუთარ თავზე აიღოს ის დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია.

After receiving a bike as a birthday present from her older brother 14-year-old Alicia finds herself accused of theft at school. Confronted with a moral dilemma she must decide whether to betray her brother who already has a criminal record or take the blame for a crime she did not commit.



## ნადირობა საზამთროებზე
## SHOOTING WATERMELONS

იტალია | Italy, 2023, 20’

**რეჟისორი | Directed by:** Antonio Donato

**მონაწილეობენ | Starring:** Luigi Di Fiore, Luca Lacerenza, Sebastian Balzarolo, Asessandra Sarno

ფედერიკო მამასთან და ძმასთან ერთად სარდინიაში, საზაფხულო რეზიდენციაში ისვენებს. მამამისი, აურელიო, მკაცრი და გადაჭარბებულად მასკულინური კაცია, რომელიც ბიჭს თავს არაადეკვატურად აგრძნობინებს და ანერვიულებს. როდესაც შეძლებული უცხოელი ოჯახი მათ სადილზე მიიწვევს, ფედერიკო აღმოაჩენს, რომ მამამისისგან არც ისე განსხვავდება.

Federico is on holiday with his father and brother in a summer residence in Sardinia. Their father, Aurelio, is a severe and overtly masculine man who makes Federico feel anxious and inadequate. When a wealthy foreign family invites them to dinner, Federico discovers he is not so different from his father.



## ნამდვილი სიმართლე ჩხუბის შესახებ
## THE REAL TRUTH ABOUT THE FIGHT

ხორვატია | Croatia, 2023, 14’

**რეჟისორი | Directed by:** Andrea Slaviček

**მონაწილეობენ | Starring:** Vida Tunguz, Ana Ugrina, Lucija Plesac, Lily Antić, Lola Jelčić, Nedim Hasanbegović, Adrian Babić Herceg, Pan Jelić

სკოლის პრობლემებს შორის გამაღიზიანებელ გოგონათა დრამა, ჩამთრევი სიმღერები და მისტიური ლურჯი მანქანაა. თინეიჯერი ლენა, რომელიც ზოგჯერ გონებაგაფანტულია, გვიყვება დიდი ჩხუბის მიღმა არსებულ ნამდვილ ამბავს, მაგრამ რა არის ისტორიის ის ნაწილი, რომელსაც მალავს?

Between school trouble, mean girl drama, catchy lyrics, and a mysterious blue car, teenage Lena, sometimes distracted or interrupted, tells us the real story behind The Big Fight. But what isn’t she telling us?



## რიტუალები
## RITES

ჩეხეთი | Czechia, 2022, 16'

**რეჟისორი | Directed by:** Damián Vondrášek

**მონაწილეობენ | Starring:** Tomáš Starý, Daniel Vízek

12 წლის მაიკლი კურდღლის ტუჩით დაიბადა და დეფორმირებული სახის გამო საკუთარ თავს გამოუსადეგარად მიიჩნევს. გარიყულის სტატუსისგან გასათავისუფლებლად, მისი ერთადერთი მეგობარი, ონდრა, დაარწმუნებს, რომ ქუჩის გასაიდუმლოებულ ბანდას შეუერთდეს. ორ მეგობარს ერთი შუადღე აქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ბანდის წევრობას იმსახურებენ. მაიკლს უზომოდ სურს დაამტკიცოს, რომ საკმარისად კარგია, მაგრამ მაცდური თავგადასავალი უეცრად ზრდასრულად ქცევის რიტუალად იქცევა.

twelve-year-old Michal was born with a cleft lip. He feels inadequate because of his deformed face. His only friend Ondra convinces him to join a street gang to finally break free from a position of an outsider. Two friends have one afternoon to show they have what it takes to pass the admission to the gang. Michal desperately wants to prove he is good enough, but the tempting adventure suddenly turns into an initiation ritual into adulthood.



## როცა რაკეტა მიწაზე ზის
## WHEN A ROCKET SITS ON THE LAUNCH PAD

ჩინეთი, აშშ | China, USA, 2023, 12'

**რეჟისორი | Directed by:** Bohao Liu

**მონაწილეობენ | Starring:** Xiao Fang Mo, Jike Re, Jike Lijimo, A Mi, Ermu Regu

კალათბურთის ბანაკში 15 წლის ფენგი საკუთარ ოცნებებზე საუბრობს, მაგრამ ცხოვრება არასდროს ჩერდება, ის ძალიან სწრაფად მიდის. მისი ტელეფონი წყალში ჩავარდა. ასაცოცებლად ძალიან ბევრი კიბეა. როგორც ჩანს, ზრდასრულებმა უნდა გადაწყვიტონ მისი მომავალი. და რაკეტას ყოველთვიურად უშვებენ.

At the basketball camp, 15-year-old Fang talks about her dreams. But life never stops, it moves too fast. Her phone fell into water. There are too many stairs to climb. The adults seem to decide her future. And the rocket keeps being launched every month.



## სადგური
## THE STATION

ირანი | Iran, 2023 , 6’

**რეჟისორი | Directed by:**
Ahmed Noormohammadi

**მონაწილეობენ | Starring:** Hamid Mansourian, Nader Mohammad Khani. Fateme Daripour, Irfan Abdi

გულჩათხრობილი, ინტროვერტი კაცი ხედავს ახალგაზრდა გოგოს ტაქსის სადგურზე და მის ყურადღებას მიიქცევს, მაგრამ ვერ ეკონტაქტება მანამ, სანამ ქურდი არ შეეცდება მის მოტაცებას.

An aloof and introverted man sees a young girl at a taxi station who catches his eye, but he can't connect with her until a thief tries to steal her.



## საზიარო ოთახები
## THE ROOMS WE SHARE

გერმანია | Germany, 2023, 13’

**რეჟისორი | Directed by:** Nadiia Kathymlianska

**მონაწილეობენ | Starring:** Vania Brendel, Tetiana Yavorska

ჰანას ეგონა, რომ ლტოლვილის მასპინძლობა განსხვავებული იქნებოდა. უკრაინის ომს გამოქცეული იულიასთვის უსაფრთხო ადგილის შექმნისთვის ყველაფერს აკეთებს, მაგრამ გოგონას ტრავმა ახალი მეგობრობისთვის შანსს არ ტოვებს. იულიამ და ჰანამ უნდა ისაუბრონ.

Hannah expected it would feel different to host a refugee. She makes a great effort to provide a safe place for Yulia from the war in Ukraine. However, Yulia's worries leave no space for new friendships. They need to talk.



## სათამაშოების ისტორია
## TOY STORY

ირანი | Iran, 2023, 9’

**რეჟისორი | Directed by:** Reza Gharehgozli

**მონაწილეობენ | Starring:** Besmellah Sadat, Maya Omidi, Bardia Dianat

ღარიბ სამეზობლოში ჯგუფი დაუცველ ბავშვებს სათამაშოებს უნაწილებს, მაგრამ ერთ ბავშვს სათამაშო არ ხვდება...

In a poor neighborhood, a group distributes toys among underprivileged children, but one of the children does not get a toy...



## სათბური
## GREENHOUSE

საბერძნეთი | Greece, 2023, 18’

**რეჟისორი | Directed by:** George Georgakopoulos

**მონაწილეობენ | Starring:** Fabricio Muco, Yorgos Ninios, Vassilis Koutsogiannis, Stella Papanikolaou

სალი, ალბანური წარმოშობის ახალგაზრდა ყმაწვილი, სკოლას თავს ანებებს და სათბურში მუშაობს. იუვენტუსის აკადემიაში საცდელი პროცესის გასავლელად საკმარისი ფულის შეაგროვება უნდა, მაგრამ ოცნების ასახდენად ჯერ მკაცრ ყოველდღიურობის მთელ რიგ პრობლემებს უნდა გაუმკლავდეს.

Sali, a young man of Albanian origin, has dropped out of school and works at greenhouses. He wants to save enough money to go through the tryout process at the Juventus Academy. But to make his dream come true, he must first overcome a series of hurdles in his harsh daily life.



## სიყვარულის მტკიცებულება
## PROOF OF LOVE

იტალია | Italy, 2024, 10’

**რეჟისორი | Directed by:** Denis Nazzari

**მონაწილეობენ | Starring:** Alessandro Haber

ხანშიშესული მამაკაცი ამზადებს საუზმეს.

A mature man prepares the breakfast.



## ტესტი
## TEST

ირანი | Iran, 2023, 15’

**რეჟისორი | Directed by:** Mikaeil Dayani

**მონაწილეობენ | Starring:** Peyman Fahimi, Giti Ghasemi

ალიმ მონაწილეობა მიიღო ფეხბურთის ნიჭის გამოსავლენი ტესტის საწყის ეტაპზე და მიიღეს. ის ფინალურ ეტაპზე უნდა გავიდეს, თუმცა მატჩის დღეს ამის შესახებ მისი დამსაქმებელი შეიტყობს...

Ali is a working child who participated in the initial stage of the football talent test and was accepted, and is supposed to go to the final stage, but on the day of the match, his employer finds out about this...



## უკან მოტოვებული ბავშვები
## CHILDREN LEFT-BEHIND

ჩინეთი | China, 2022, 7'

**რეჟისორი | Directed by:** Alan Fung

შაუიე უკან მოტოვებული ბავშვია იმის მერე, როცა შეიტყობს, რომ მშობლები მას დამშვიდობების გარეშე ტოვებენ ჩინური ახალი წლის შემდეგ. ის მოტოციკლის კვალს მიჰყვება, გზად სხვადასხვა ზღაპარში მოგზაურობს და ამ ზღაპრების პერსონაჟებს „ეჯახება".

Xiaoyue is a left-behind child, after hearing her parents left without saying goodbye after the Chinese New Year, she chases after the motorcycle traces, and along the way she travels to different fairy tales and " collide " with their characters.



## ფრენცის სასადილო
## FRANZY'S SOUP-KITCHEN

საქართველო | Georgia, 2022, 9'

**რეჟისორი | Directed by:** Ana Chubinidze

უცხოპლანეტელი მზარეული ფრენცი აღმოაჩენს, რომ მისი განსაკუთრებული ვარდისფერი წვნიანი არა მხოლოდ გემრიელი, არამედ ჯადოსნურიცაა, როცა მას მეზობელ პლანეტაზე მცხოვრებ მშიერ არსებებს უზიარებს.

Lonely alien Chef Franzy discovers that her special pink soup is not just delicious, but also magical, when she shares it with starving creatures living on a strange planet.



# ქარიშხალი
# THE STORM

ჩინეთი, აშშ | China, USA, 2022, 16'

**რეჟისორი | Directed by:** Wendi Tang

**მონაწილეობენ | Starring:** Xiangyue Meng, Lu Liu, Yu Meng, Yingzhi Kong, Jiazhao Chen, Jingyao Liang

2008 წლის სექტემბრის ბოლოს, შაომინს, დაწყებითი სკოლის დამამთავრებელი კლასის პრეზიდენტს, კლასელები დაასმენენ. მათ სკოლის გარეთ ქუჩის ხულიგნებთან შენიშნეს.

In late September 2008, Xiaomin, class president in her elementary school graduating class, is reported by her classmates to have been seen consorting with street hooligans outside the school.



# ქაღალდის თვითმფრინავი
# PAPER PLANE

საქართველო | Georgia, 2023, 7'

**რეჟისორი | Directed by:** Tata Managadze

**შემოქმედებითი ჯგუფი | Crew:** 20 steps Productions

ბავშვობის მოგონებასავით ამბავი, ოთახში, ძაფზე დაკიდებულ პატარა ქაღალდის თვითმფრინავზე დიდი ოცნებით - რომ ერთხელაც, მართლა გაფრინდეს.

Childhood memory like tale of a single paper plane, hanging from the ceiling in the room, dreaming a big dream - to fly.



## ყინულის მსხვრევა
## ICE BREAK

ჩეხეთი | Czech Republic, 2023, 20’

**რეჟისორი | Directed by:** Elvira Dulskaia

**მონაწილეობენ | Starring:** Michaela Rajdlíková, Marek Pospíchal, Vojtěch Franců, Karolína Vlčková, Michael Hajda

თინეიჯერი ალექსი ერთადერთი გოგოა ბიჭების ყინულის ჰოკეის გუნდში, რომელსაც მამამისი, მაიკლი, წვრთნის. გოგონა ძლიერი მოთამაშეა და გარშემომყოფებიც სათანადოდ ექცევიან, თუმცა სიტუაცია იცვლება, როდესაც მას ერთ-ერთი გუნდელი უყვარდება.

Teenage Alex is the only girl in a boys’ ice-hockey team, coached by her father Michal. She is a tough player, rather than a young woman or a daughter, and her surroundings treat her accordingly. But it starts bothering her, as she is in love with one of her teammates.



## ჩემი პირველი ტელეფონი
## MY FIRST PHONE

სომხეთი | Armenia, 2024, 7’

**რეჟისორი | Directed by:** Baghdasar Atchemyan

**მონაწილეობენ | Starring:** Aren Podosyan, Tatev Hovakimyan, Murad Nadiryan

რვა წლის სარგისის მამა სახლში ბრუნდება და შვილს საოცნებო ტელეფონს ჩუქნის. იმავე დღეს სარგისი გაიგებს, რომ მამა დედასთან დასაშორებლად მოვიდა.

Eight-year-old Sargis' father returns home and gives a present to Sargis his dream phone. On the same day, Sargis learns that his father has returned to break up with his mother.



# ჰოლივუდის ღამეები
# HOLLYWOOD NIGHTS

გაერთიანებული სამეფო
United Kingdom, 2023, 19’

**რეჟისორი | Directed by:** Liam Sanderson

**მონაწილეობენ | Starring:** James Darling, Isabella Congreve, David Williamson, Mason Lawrence, Tim Rutherford

ნიკ ჰოლივუდი ახალგაზრდა სკოლის მოსწავლე ბიჭია, რომელიც მამამისის ვიდეომაღაზიაში მუშაობს. ის უკანონოდ ამზადებს ვიდეოჩანაწერებს და შემდგომ სკოლაში პერსონალზე და სხვა მოსწავლეებზე ყიდის. როდესაც მისი ერთ-ერთი კლიენტი კვდება, მეორე კი უჩინარდება, ნიკი მკვლელობის საიდუმლოების ცენტრში, მთავარ როლში აღმოჩნდება.

Nick Hollywood is a young school boy who works at his Uncle’s video shop. He pirates the tapes and sells them at school to staff and fellow pupils. When one of his customers turns up dead and another disappears, Nick finds himself at the centre of a murder mystery with a starring role.

# სრულმეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი ახალგაზრდა აუდიტორიისთვის

# INTERNATIONAL COMPETITION OF FEATURE FILMS FOR A YOUNG AUDIENCE





# ექვსი კვირა I SIX WEEKS

უნგრეთი | Hungary, 2022, 96'

**რეჟისორი I Directed by:** Noémi Veronika Szakonyi

**სცენარის ავტორები | Screenplay:**
Noémi Veronika Szakonyi, Máté Artur Vincze, Daniel Daoud

**მონაწილეობენ I Starring:** Katalin Román, Zsuzsa Járó, Lana Szczaurski, Móni Balsai, András Mészáros, Kitti Keresztesi, Katalin Takács, Anna Gyorgyi, Szabolcs Székely

სოფი, მეამბოხე თინეიჯერი, პატარა ბინაში თავის დასთან, მესისთან და მის არასტაბილურ დედასთან, ბეასთან ერთად ცხოვრობს. იგი შემთხვევით დაორსულდება და გადაწყვეტს ბავშვი წყვილს მიაშვილოს. ბეა შვილის გადაწყვეტილებას ვერ ეგუება, თუმცა ვერც იმას იაზრებს, რომ ჩვილის მოვლისთვის შესაბამისი პირობები არ აქვთ. დედის არასტაბილური ქცევის გამო, სოფის ბავშვობით ტკბობის ნაცვლად მუშაობა და მძიმე გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება უწევდა. გოგონა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობს და მისი ერთადერთი ნათელი წერტილი მაგიდის ჩოგბურთელის კარიერაა, რომლისთვისაც თავს არ ზოგავს. ამიტომ, ჩვილის გაშვილებას სოციალური მუშაკის დახმარებით გეგმავს. ბავშვის გაჩენის შემდეგ, კანონის შესაბამისად, ექვსი კვირა ეძლევა გადაწყვეტილების შეცვლისთვის. სოფი თითქოს გრძნობებს აკონტროლებს და დასახული მიზნისთვის შრომას განაგრძობს, თუმცა, ამავდროულად, მასში დედობრივი გრძნობები მძაფრდება და ნელ-ნელა საკუთარ გადაწყვეტილებას ეჭვქვეშ აყენებს.

Zsófi, the rebellious teenager lives in a tiny flat with her little sister Mesi, and her unstable mother, Bea. Zsófi discovered late that she was pregnant and decided to give up her baby through open adoption to a couple. Bea cannot accept her daughter's decision, but she does not realize that neither her, nor the circumstances are suitable to welcome a newborn. Zsófi always had to behave like a grownup, working and making sensible decisions instead of her mother and for her sister. She is still at high school and her only vantage point is her table tennis career for which she works assiduously. She plans the adoption thoroughly with the help of a social worker. Following the birth, she is given six weeks by law to change her mind and ask for her child back. She seems to be able to control her feelings ruthlessly and continue towards the goals she set. At the same time, her maternal feelings intensify, doubts arise, and she slowly begins to question her own decisions.



# კიპკემბოი I KIPKEMBOI

კანადა, კენია I Canada, Kenya, 2023, 90’

**რეჟისორი I Directed by:** Charles Uwagbai

**სცენარის ავტორი I Screenplay:** Joel Richardson

**მონაწილეობენ I Starring:** Thamela Mpumlwana, Elsie Abang, David Cubitt, Vinessa Antoine, Kevin Hanchard, Abel Mutua, Chichi Seii

კიპკემბოი კენიელი თინეიჯერი და მათემატიკის გენიოსია, რომელიც საფონდო ბირჟაზე ვაჭრობისთვის განტოლებას ქმნის. იგი მიწურში, ხელით აწყობილი კომპიუტერიდან ვაჭრობს. მისი ალგორითმი წარმატებას აღწევს და მილიონობით დოლარის გამომუშავებას ახერხებს, რაც საერთაშორისო ფინანსური მაგნატების, ადგილობრივი პოლიციისა და მისი სოფლის უხუცესების ყურადღებას იპყრობს. მათთან დაპირისპირება კიპკემბოისა და მის შეყვარებულს გაქცევას აიძულებს.

Kipkemboi, a teenaged Kenyan math genius, creates an equation to play the stock market. Trading from a cobbled-together computer and broadcasting from a mud hut, the algorithm turns out to be a success generating millions of dollars and attracting the attention of international financial kingpins, local police and the elders of his own village. When they all collide at Kipkemboi's mud hut, the resulting clash forces Kipkemboi and his girlfriend to flee as they are chased across the African countryside.



# მებრძოლი | SCRAPPER

გაერთიანებული სამეფო | UK, 20233, 84'

**რეჟისორი | Directed by:** Charlotte Regan

**სცენარის ავტორი | Screenplay:** Charlotte Regan

**მონაწილეობენ | Starring:** Harris Dickinson, Lola Campbell, Alin Uzun, Ambreen Razia, Olivia Brady, Aylin Tezel

ფილმი 12 წლის მეოცნებე გოგონას, ჯორჯის, ისტორიას გვიყვება, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ, ლონდონის ბინაში მარტო, წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობს. როდესაც დიდი ხნის წინ დაკარგული მამა, ჯეისონი, გამოჩნდება, გოგონას რეალობასთან დაპირისპირება უწევს. ახალ ცხოვრებასთან შეგუების პროცესში მამა-შვილი მალევე აღმოაჩენს, რომ ერთმანეთისგან ბევრი რამ აქვთ სასწავლი.

Georgie is a dreamy 12-year-old girl who lives alone in her London flat, filling it with magic after her mother's passing. When her estranged father Jason arrives, she's forced to confront reality, but does so on her own terms. As they adjust to their new circumstances, Georgie and Jason find that both father and daughter still have a lot of growing up to do.



# მედიუმი I MEDIUM

საბერძნეთი, ბულგარეთი | Greece, Bulgaria, 2023, 100'

**რეჟისორი I Directed by:** Christina Ioakeimidi

**სცენარის ავტორი | Screenplay:** Christina Ioakeimidi

**მონაწილეობენ I Starring:** Aggeliki Beveratou, Nikolakis Zeginoglou, Katerina Zisoudi, Martha Frintzila, Kostantinos Aspiotis

16 წლის ელეფთერია - უცნობი უცხო სამყაროში - იდუმალებით მოცულ მეზობელს, ანგელოსს შეხვდება, რომელიც ზრდასრულების სამყაროს გააცნობს. აგვისტოს ცხელი ქალაქის ქუჩებში ველოსიპედით სეირნობისას, ელეფთერია ახალ მოგზაურობას იწყებს - მან საკუთარი თავი პირველი სიყვარულის სისასტიკეში უნდა აღმოაჩენინოს.

16-year-old Eleftheria — a stranger in a strange world — meets mysterious neighbor Angelos, who invites her into his fascinating grown-up world. Roaming the streets of the scorching hot city in August on his bike, she will embark on a journey to discover herself through the ferocity of first love.

საბერძნეთის საელჩოს მხარდაჭერით
Supported by the Embassy of the Hellenic Republic in Georgia



# ჰოლი I HOLLY

საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები
France, Belgium, Luxembourg, Netherlands, 2023, 103’

**რეჟისორი I Directed by:** Fien Troch

**სცენარის ავტორი I Screenplay:** Fien Troch

**მონაწილეობენ I Starring:** Cathalina Geeraerts, Felix Heremans, Greet Verstraete, Serdi Faki Alici, Els Deceukelier, Maya Louisa Sterkendries, Robby Cleiren, Sara De Bosschere

15 წლის ჰოლი სკოლაში რეკავს და მასწავლებლებს აფრთხილებს, რომ იმ დღეს სახლში დარჩება. სწორედ ამ დღეს მოულოდნელად სკოლაში ხანძარი ჩნდება, რასაც რამდენიმე მოსწავლე ეწირება. მომხდარის შედეგად საზოგადოება ერთიანდება და საერთო ძალებით ცდილობს ტრაგედიის გადატანას. ჰოლის მასწავლებელი, ანა, რომელმაც გოგონას უცნაური წინათგრძნობა შეამჩნია, მას მოხალისეთა ჯგუფში გაერთიანებას სთხოვს. როგორც აღმოჩნდება, ჯგუფში ჰოლის ყოფნა სხვა წევრებს სიმშვიდეს, სითბოს და იმედს ჰგვრის. თუმცა, ძალიან მალე, ადამიანები ჰოლისგან უფრო და უფრო მეტს ითხოვენ, ცდილობენ გაარკვიონ გოგონასა და მისი განსაკუთრებული ენერგიის შესახებ.

15-year-old Holly calls her school to say she is staying home for the day. Soon after, a fire breaks out at the school, killing several students. With everyone touched by the tragedy, the community comes together, trying to heal. Anna, a teacher, intrigued by Holly and her strange premonition, invites her to join the volunteering group she runs. Holly’s presence seem to bring peace of mind, warmth, and hope to those she encounters. But soon, people begin to seek out Holly and her cathartic energy, demanding more and more from the young girl.

# საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმის კონკურსი

# BEST FEATURE FILM COMPETITION





# ბაურინა სალუ | BAURYNA SALU

ყაზახეთი | Kazakhstan, 2023, 113'

**რეჟისორი | Directed by:** Askhat Kuchencherekov

**სცენარის ავტორი | Screenplay:** Askhat Kuchencherekov

**მონაწილეობენ | Starring:** Aydos Ayesbaev, Yerkin Berikuly, Damir Daurenuly

მომთაბარეთა ძველი ტრადიციის, „ბაურინა სალუს“, მიხედვით, იერსულთანი გასაზრდელად ბებიას გადასცეს. ბიჭი მშობლებისგან განცალკევებით გაიზარდა. 12 წლის ასაკში, ბებია გარდაიცვალა, რის გამოც იერსულთანს უწევს ოჯახს დაუბრუნდეს, რომელსაც ფაქტობრივად არც იცნობს. იერსულთანის გარდატეხის ასაკი კონფლიქტური ტრანსფორმაციის პროცესს ემთხვევა. ბიჭი ოჯახთან, განსაკუთრებით კი მამასთან, ურთიერთობის აღდგენას ცდილობს.

Following an old nomadic tradition 'bauryna salu', Yersultan was given at birth to his grandmother so that she could raise him. He grew up with resentment and disconnection from his parents. When he turns 12, his grandmother dies and he has to move back with the family he barely knows. Yersultan's coming of age process coincides with a very conflictive transformation and an attempt to restore the relationship between him and his parents, especially his father.



# ბუმერანგი | BOOMERANG

გერმანია, ირანი | Germany, Iran, 2024, 83’

**რეჟისორი | Directed by:** Shahab Fotouhi

**სცენარის ავტორი | Screenplay:** Shahab Fotouhi

**მონაწილეობენ | Starring:** Arash Naimian, Leili Rashidi, Ali Hanafian, Yas Farkhondeh, Shaghayegh Djodat

ბეჰზადთან ქორწინებით დაღლილი სიმა თინეიჯერ შვილ მინოოსთან ერთად გადასასვლელად ახალ სახლს ეძებს ისე, რომ ქმარს არ ეუბნება. ამასობაში, ბეჰზადი ყოფილ შეყვარებულთან ურთიერთობის აღდგენას ცდილობს. ამავდროულად, ფილმი გვიყვება შვილის ამბავსაც, რომელიც შუქნიშანზე დგომისას ინიციატივას გამოიჩენს და კეივანთან ფლირტს წამოიწყებს. აღმოჩნდება, რომ გოგონამ იცის კეივანის სახელი და ორივენი იწყებენ თავიანთი პირადული ფიქრების ერთმანეთში გაზიარებას.

ფილმი თანამედროვე თეირანის სოციოლოგიურ პორტრეტს გვიხატავს. როდესაც დამარცხებული თაობის წარმომადგენელი ორი ადამიანის ქორწინება სრულდება, ახალგაზრდა თაობაში რომანი იწყება, რომელიც სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგენს ქალაქს და მის პოლიტიკურ რეალობას.

Tired of her marriage to Behzad, Sima is looking for a new home for herself and her teenage daughter Minoo, without telling him. Meanwhile, we see Behzad arranging a chance meeting with his ex-girlfriend in the hope of rekindling their intimacy. At the same time, the film follows Minoo, who casually takes the initiative at a traffic light and begins a flirt with Keyvan. As if by magic, she knows his name and the two begin to share their innermost thoughts.

Over the course of a week, the film paints a sociological snapshot of modern Tehran. As the marriage of two people from a seemingly hopeless and defeated generation comes to an end, a young romance is beginning to emerge in a generation that is discovering the city and its political realities in a new way



# გვერდით ჩავლილი ცხოვრება
# LA VITA ACCANTO

იტალია | Italy, 2024, 114'

**რეჟისორი | Directed by:** Marco Tullio Giordana

**სცენარის ავტორები | Screenplay:**
Marco Bellocchio, Marco Tullio Giordana, Gloria Malatesta

**მონაწილეობენ | Starring:** Sonia Bergamasco, Valentina Bellè, Paolo Pierobon, Beatrice Barison, Michela Cescon, Sara Ciocca

1980-იანი წლების დასაწყისში, ვიჩენცაში, იტალიური ხელოვნების ულამაზეს ქალაქში, ახალგაზრდა მდიდარი წყვილი მოუთმენლად ელის დიდი ხნის ნანატრი ქალიშვილის დაბადებას. მაგრამ, დაბადებიდანვე ბავშვს ნახევარ სახეს წითელი ლაქა უფარავს. ეს ფაქტი ქალს იმდენად აწუხებს, რომ დედობრივი მოვალეობების შესრულებაზე უარს ამბობს. ბავშვის დეიდა, ცნობილი პიანისტი გოგონას განათლებაზე ზრუნვას იწყებს და მალევე მის განსაკუთრებულ ნიჭს აღმოაჩენს.

In Vicenza, a beautiful Italian art city, a young wealthy couple joyfully welcomes the birth of a long-awaited daughter in the early 1980s. But the child's face is disfigured by a red birthmark that covers half of her face. This spot haunts the mother to the point that she rejects her responsibilities as a mother. The child's aunt, a famous concert pianist, takes over her education, thus discovering her exceptional musical talent.

იტალიის საელჩოს მხარდაჭერით
Supported by the Embassy of Italy in Georgia



# ვაჟები | SONS

დანია, შვედეთი | Denmark, Sweden, 2024, 100’

**რეჟისორი | Directed by:** Gustav Möller

**სცენარის ავტორები | Screenplay:** Emil Nygaard Albertsen, Gustav Möller

**მონაწილეობენ | Starring:** Sidse Babett Knudsen, Sebastian Bull, Dar Salim, Marina Bouras, Olaf Johannessen, Jacob Lohmann, Siir Tilif, Rami Zayat, Mathias Petersen

როდესაც ახალგაზრდა ბიჭს მისი წარსულიდან, იმ ციხეში გადაიყვანენ, სადაც თავად მუშაობს, ციხის იდეალისტი მცველი ევა ცხოვრებისეული დილემის წინაშე დგება. ისე, რომ საიდუმლოს არ ამხელს, ევა ციხის ყველაზე სასტიკ ბლოკში ითხოვს გადაყვანას. ასე იწყება შემაშფოთებელი ფსიქოლოგიური თრილერი, რომელშიც ევას სამართლიანობის განცდა ციხის მცველის მორალსა და მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

The idealistic prison guard Eva faces the dilemma of her lifetime when a young man from her past is transferred to the prison where she works. Without revealing her secret, she asks to be moved to his block, the toughest and most violent in the prison. And so begins an unsettling psychological thriller in which Eva’s sense of justice puts her morality and her future at stake.



## ჩუმი ღრიალი | SILENT ROAR

გაერთიანებული სამეფო | United Kingdom, 2023, 90'

**რეჟისორი | Directed by:** Johnny Barrington

**სცენარის ავტორი | Screenplay:** Johnny Barrington

**მონაწილეობენ | Starring:** Louis McCartney, Ella Lily Hyland, Mark Lockyer, Victoria Balnaves, Fiona Bell, Pablo Raybould

შოტლანდიაში, ლუისის კუნძულზე მცხოვრები ახალგაზრდა სერფერი დონდო ვერ ეგუება მეთევზე მამის სიკვდილს, მიუხედავად იმისა, რომ კაცი წელიწადზე მეტია ზღვაში დაიკარგა. წყნარი და მეოცნებე დონდოსგან განსხვავებით, მისი კლასელი სასი არასდროს ერიდება ხალხის წყენინებას. დონდოსა და სასის მოულოდნელი კავშირი დაეხმარება გმირებს საზოგადოებაში საკუთარი ადგილი მოძებნონ, ტალღების, რწმენისა და ჯოჯოხეთური ცეცხლის გავლით.

On the Isle of Lewis in Scotland, Dondo, a young surfer, refuses to accept the death of his fisherman dad, despite the fact he has been missing at sea for over a year. Unlike quiet and dreamy Dondo, his clever classmate Sas is never afraid of rubbing people the wrong way. Dondo and Sas's unlikely bond will help them find their path in their rural community, through waves, beliefs, and hellfire.



# ხვალინდელი დღეც გვაქვს
# C'È ANCORA DOMANI

იტალია | Italy, 2023, 118'

**რეჟისორი | Directed by:** Paola Cortellesi

**სცენარის ავტორები | Screenplay:**
Furio Andreotti, Giulia Calenda, Paola Cortellesi

**მონაწილეობენ | Starring:** Valerio Mastandrea, Paola Cortellesi, Vinicio Marchioni, Giorgio Colangeli, Romana Maggiora Vergano, Emanuela Fanelli

დელია, ქმართან, სამ შვილსა და მამამთილთან ერთად, მუშათა კლასის საზოგადოებაში, 1940-იანი წლების ბოლო პერიოდის რომში ცხოვრობს. ქალაქში, რომელიც ორადაა გაყოფილი გათავისუფლებასთან დაკავშირებულ წინსვლასა და ახლად დასრულებული ომის ტანჯვას შორის.

ქალი ცდილობს ოჯახის ყოველდღიურ სირთულეებს გაუმკლავდეს. ჰყავს საუკეთესო მეგობარი, რომელსაც ცხოვრებისეულ მომენტებს უზიარებს ხოლმე. ოცნებობს, რომ მის შვილს, მარჩელას, მასზე უკეთესი ცხოვრება ჰქონდეს. დელია საკუთარ ბედთან შეგუებული ქალია - ეგუება ბედისწერის როგორც კარგ, ისე ცუდ მხარეებს, სანამ ერთ დღესაც საიდუმლო წერილს არ მიიღებს.

Delia lives in a working-class community in Rome in the late 1940s – a city divided between the positive thrust of liberation and the miseries of the war that has just ended – with her domineering husband, Ivano, their three children, and father-in-law.

She rises above the daily challenges of family life; has a best friend with whom to share moments of levity, and dreams for her daughter Marcella to one day have a better life. Delia accepts her fate – the good with the bad – until one day a mysterious letter arrives.

იტალიის საელჩოს მხარდაჭერით
Supported by the Embassy of Italy in Georgia

## SEPTEMBER 20

GRISHASHVILI STREET

**19:30** • Opening Ceremony

**20:00** • Best Feature Film Competition
**Cé Ancora Domani | Italy, 2023, 108'**
* Supported by the Embassy of Italy in Georgia



## SEPTEMBER 21

MULTIFUNCTIONAL CENTER OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

**15:00** • International Competition of Feature Films for a Young Audience
**Kipkemboi | Canada, Kenya, 2023, 90'**

CINEMA SAKARTVELO

**17:00** • International Competition of Short Films for a Young Audience

**20:00** • Best Feature Film Competition
**Sons | Denmark, Sweden, 2024, 100'**

PUBLIC SCHOOL №1

**15:00** • Lectures and Masterclasses for 13-15 Year-Old Audience

**19:00** • Lectures and Masterclasses for 16-18 Year-Old Audience

GRISHASHVILI STREET

**22:00** • **Open Air Cinema**
Public Screenings of Georgian Film heritage (GNFC)
* Powered by Kutaisi International Airport

## SEPTEMBER 22

MULTIFUNCTIONAL CENTER OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

**15:00** • International Competition of Feature Films for a Young Audience
**Medium | Greece, 2023, 88'**
* Supported by the Embassy of the Hellenic Republic in Georgia

CINEMA SAKARTVELO

**17:00** • International Competition of Short Films for a Young Audience

**20:00** • Best Feature Film Competition
**Silent Roar | UK, 2023, 90'**

PUBLIC SCHOOL №1

**15:00** • Lectures and Masterclasses for 13-15 Year-Old Audience

**19:00** • Lectures and Masterclasses for 16-18 Year-Old Audience

GRISHASHVILI STREET

**22:00** • **Open Air Cinema**
Public Screenings of Georgian Film heritage (GNFC)
* Powered by Kutaisi International Airport

## SEPTEMBER 23

MULTIFUNCTIONAL CENTER OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

**15:00** • International Competition of Feature Films for a Young Audience
**Six Weeks | Hungary, 2022, 95'**

CINEMA SAKARTVELO

**17:00** • International Competition of Short Films for a Young Audience

**20:00** • Best Feature Film Competition
**Boomerang | Germany, Iran, 2024, 83'**

PUBLIC SCHOOL №1

**15:00** • Lectures and Masterclasses for 13-15 Year-Old Audience

**19:00** • Lectures and Masterclasses for 16-18 Year-Old Audience

GRISHASHVILI STREET

**22:00** • **Open Air Cinema**
Public Screenings of Georgian Film heritage (GNFC)
* Powered by Kutaisi International Airport

## SEPTEMBER 24

MULTIFUNCTIONAL CENTER OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

**15:00** • International Competition of Feature Films for a Young Audience
**Scrapper | UK, 2023, 84'**

CINEMA SAKARTVELO

**17:00** • International Competition of Short Films for a Young Audience

**20:00** • Best Feature Film Competition
**Bauryna Salu | Kazakhstan, 2023, 113'**

PUBLIC SCHOOL №1

**15:00** • Lectures and Masterclasses for 13-15 Year-Old Audience

**19:00** • Lectures and Masterclasses for 16-18 Year-Old Audience

GRISHASHVILI STREET

**22:00** • **Open Air Cinema**
Public Screenings of Georgian Film heritage (GNFC)
* Powered by Kutaisi International Airport

## SEPTEMBER 24

MULTIFUNCTIONAL CENTER OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

**15:00** • International Competition of Feature Films for a Young Audience
**Holly | Belgium, Netherlands, Luxembourg, France, 2023, 102'**

CINEMA SAKARTVELO

**17:00** • International Competition of Short Films for a Young Audience

**20:00** • Best Feature Film Competition
**La Vita Accanto | Italy, 2024, 110'**
* Supported by the Embassy of Italy in Georgia

PUBLIC SCHOOL №1

**15:00** • Lectures and Masterclasses for 13-15 Year-Old Audience

**19:00** • Lectures and Masterclasses for 16-18 Year-Old Audience

GRISHASHVILI STREET

**22:00** • **Open Air Cinema**
Public Screenings of Georgian Film heritage (GNFC)
* Powered by Kutaisi International Airport

## SEPTEMBER 26

GRISHASHVILI STREET

**20:00** • Closing Ceremony followed by Concert
* Supported by the Georgian National Tourism Administration

# თაობის გუნდი I TAOBA TEAM

**ლევან დვალი I LEVAN DVALI**
Director General I გენერალური დირექტორი

**ნენო ქავთარაძე I NENO KAVTARADZE**
Artistic Director I სამხატვრო ხელმძღვანელი

**მარინა მარჯანიშვილი I MARINA MARJANISHVILI**
Co-organizer I თანაორგანიზატორი

**თინანო გახელაძე I TINANO GAKHELADZE**
HR Director I ადამიანური რესურსების ხელმძღვანელი

**ლიკო ბუზიაშვილი I LIKO BUZIASHVILI**
Head of PR and Marketing I კომუნიკაციების და მარკეტინგის ხელმძღვანელი

**ნინი ქაჩლიშვილი I NINI KACHLISHVILI**
Assistant to the Director General I გენერალური დირექტორის ასისტენტი

**მურო ექიზაშვილი I MURO EKIZASHVILI**
Film Programmer I კინოპროგრამერი

**ანა ჯოხაძე I ANA JOKHADZE**
Film Programmer I კინოპროგრამერი

**დაჩი მახარაძე I DACHI MAKHARADZE**
Head of Hospitality I სტუმრების სერვისის ხელმძღვანელი

**ლუკა ცანავა I LUKA TSANAVA**
Hospitality Coordinator I სტუმრების სერვისის კოორდინატორი

**თამრი რცხილაძე I TAMRI RTSKHILADZE**
Project Manager I პროექტების მენეჯერი

**ნინი ღვალაძე I NINI GHVALADZE**
Project Manager I პროექტების მენეჯერი

**მაშო გიგილაშვილი I MASHO GIGILASHVILI**
Social Media Manager I სოც. მედია მენეჯერი

**ანიკა მაისურაძე I ANIKA MAISURADZE**
Content Creator I კონტენტ კრეატორი

**ნიკა ცაბაძე I NIKA TSABADZE**
Copywriter I ქოფირაითერი

**ლაზარე ერქომაიშვილი I LAZARE ERKOMAISHVILI**
Head of Jury Office I ჟიურის ოფისის ხელმძღანელი

**ნინი ფარცხალაძე I NINI PARTSKHALADZE**
Jury Office Coordinator I ჟიურის ოფისის კოორდინატორი

**მებო შეყელაშვილი I MEBO SHEKELASHVILI**
Jury Office Coordinator I ჟიურის ოფისის კოორდინატორი

**მარიამ ბუცხრიკიძე I MARIAM BUTSKHRIKIDZE**
Jury Office Coordinator I ჟიურის ოფისის კოორდინატორი

**მარიამ შონია I MARIAM SHONIA**
Jury Office Coordinator I ჟიურის ოფისის კოორდინატორი

**გვანცა მელიქიშვილი I GVANTSA MELIKISHVILI**
Jury Office Coordinator I ჟიურის ოფისის კოორდინატორი

**ლუკა კობიძე I LUKA KOBIDZE**
Head of Video Production, Brand Manager
ვიდეოწარმოების ხელმძღვანელი, ბრენდ მენეჯერი

**ნიკა ზუბაშვილი I NIKA ZUBASHVILI**
Videographer I ვიდეოგრაფი

**ირაკლი ჩინჩალაძე I IRAKLI CHINCHALADZE**
Videographer I ვიდეოგრაფი

**ნიკა ყაველაშვილი I NIKA KAVELASHVILI**
Photographer I ფოტოგრაფი

**მარიამ გუჯაბიძე I MARIAM GUJABIDZE**
Photographer I ფოტოგრაფი

**სანდრო მიქელაძე I SANDRO MIKELADZE**
Photographer I ფოტოგრაფი

**ლერი ზივზივაძე I LERI ZIVZIVADZE**
Technical Support Manager I ტექნიკური მხარდაჭერის მენეჯერი

**ბათუ შონია I BAKU SHONIA**
Technical Support Manager I ტექნიკური მხარდაჭერის მენეჯერი

**იოანე ქაფიანიძე I IOANE KAPIANIDZE**
Technical Support Assistant I ტექნიკური მხარდაჭერის ასისტენტი

**ნიკა ბურდილაძე I NIKA BURDILADZE**
Publications Manager I პუბლიკაციების მენეჯერი

**თუთა ბალარჯიშვილი I TUTA BALARJISHVILI**
Graphic Designer I დიზაინერი

**ბაბაქ საფარი I BABAK SAFARI**
Graphic Designer I დიზაინერი

KUTAISI
AIRPORT

UNITED
AIRPORTS
OF GEORGIA

# TAOBA

## YOUTH FILM FESTIVAL

NATIONAL PALACE

Culture and Education
**Foundation**

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია

თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

Georgia

საქართველოს ბანკი

EMBASSY OF THE HELLENIC REPUBLIC
IN GEORGIA

GOETHE INSTITUT

INSTITUT FRANÇAIS
GÉORGIE

კინო საქართველო

TAOBA

YOUTH FILM FESTIVAL